

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი 1 ვრთი მარტი. წლიური ხელის მომწერლებს გახუთის ფასი შეუძლიათ ნაწილობრივ გადასახადებად. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანართები კიდევ ნაწილობრივად.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტრიტის ტიპის წინ 20 კაბ., უკან 15 კ. სამკლავიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 8 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

„სამშობლო“—დღის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივე ტიპილია, ძმობილია, მიჩვენის ორხვე თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთი ქვეყანაზედა.

ამიერიდან მ. შუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

## „სამშობლო“

გაზეთი დიხს:

ერთი წლით 8 მანეთი. ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებით—8 კ. ესევე გაზეთი დაჯილდოვებულია „იმერეთის“ ხელის მომწერლებს. გაზეთი წერილები და ფული აგზავნით შემდეგის ადრესით: ქუთაისი, ქუჩა „სამშობლო“ თფილისის ქუჩა, სალი 3. ი. გოციელი.

გაზეთის ყოველ კვირა სურათებია და მატება, და მატებას გამოცემის გამოცემულია თანამგზავნობა რაცხვის გამოცემულზე. ესთავთ ომში დაკრძალა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაროდონ მათი სურათები.

ესთავთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

მაწვევლან ანაან ცნობადი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი საამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

3. ფრანგიზილიის საღამო.

ქალაქის თეატრი სამშობლო, 10 თებერვალს, გაიმართება საყვარელდებო

## ს აღამო-მ ე ჯ ლ ი ს ი

1 განე.

ბ. აპაკი ვადაშა წაიკითხავს „სასცენო ხელოვნება“.

2. საკონტრაქტო განყოფილება.

გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, შ. დიდიანი ა. ფაღვაძე, ღ. ლაღიძე, პ. ფრანგიზილი წაიკითხვენ საკუთარ ნაწარმოებს.

3. საკონტრაქტო განყოფილება.

ბ. ფრანგიზილი იმღერებს „ურმულს“.

გ. ზელმანი იმღერებს ქართულ რუსულ რომანებს.

დ. ხოხობაძე იმღერებს „ტურფა-მოდის“.

4. ორკესტრი „კოლიდა“ ბ. ქუთათელაძის ლობიბობილ დაუკრავს ქართულ რუსულ ჰანგებს. ქართული ხორა იმღერებს ხალხურ სიმღერებს.

5. დ. ჩარკვიანი მონაწილეობით წარმოადგენილ იქნება ა. გრიშაშვილის.

## ტიმოთეს ლეღვი

გოდგელი 1 მოქ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივად დასაუხრის საღამოს 8 საათზე. 1—1 გამგე ვ. ქავთარაძე.

ექიმი ბაბრიელ იოს. გოციელი

ელმპროფისა და სინათლის კანონები. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავთმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. აღესანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ.)

ექიმი ი. ჩარკვიანი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. განაბლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავთმყოფების მიღება შინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

ქილიის მანადარშილი და ტრუშა-მამიბაძე. ნოშა. დროებით ბათომიდან გადმოვიდნ ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალვის თუთუნის ფარკის გვერდში. ავთმყოფებს ღებულბენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავთმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. ავთმენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმიზე. ღრძილების ავთმყოფობას არჩენენ რამდენიმე სენსზე ახალი საშუალებით.

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი.

ჩენი ეროვნული სიამაყის, სკოვანი გეოსის, აკაკის შესახებ სახალხო ფურცელი სერს:

აკაკი... რამდენი წმინდა ზრახვა და ფიქრი, წაღვლიანი ჰანგი და იმედიანი ხმა, რამდენი მწარე კვნესა და სიხარულის, ღიმილია ჩაქოვილი ამ ძვირფას, სათაყვანებელ სახელში!

აკაკი განხორციელებული სიყვარულია მშობელი ერის. მისმა შუშოქმედებამ მხოლოდ ერთი ჰანგი იცის—სამშობლოს დიდება; მისი გონება მხოლოდ საქართველოს შემეცნებას იფიქრებს, მისი თვალი მხოლოდ თავის ქვეყნის სურათს ხედავს, მის ყურს მხოლოდ ქართველი ერის ხმა ესმის. მის გრძობას მხოლოდ ერთის მამულის მუხუბრება და გახარება შეუძლია იგრძნოს. სამშობლო მისთვის სატრფოა, რომლის მომხილავ ძალას ვერ შეედრება უმშვენიერესი ქალწულის ტრფობა, ამ სამშობლოს ეთაყვანება და თავს ევლება ისეთის სინაზითა და სიმტკიცით, რომელსაც ვერ გამოიჩენდა უმბლესი სათროებით აღჭურვილი დედა. მთელი ქვეყნიერება—ცა, ზღვა, ხმელთი მარტო მის სამშობლოთა აღსაფხვ; ყველგან მას ხედავს, რომელიც თითქოს ხორცშესხმულ არსებად წარმოუდგენია და ცხოვლად ჰგრძობს ყოველს მის სუნთქვას.

როცა გაზაფხულის მზის სხივი შემავსდება მის სახეზე, დილის ვარდი ღიმილით მიესალმება და მერცხალი ქაქიკით გადმოსახებს, მარტო მამული ავრდება და გულში მასი აღდგენის იმედი ესახება; როცა საღამური კენესის ან ნაზი ასულის ბროლის ხელი ჩანგურის სიქებს ააფერებს, თვალწინ დატყვევებული სატრფო წარმოსდგება და გულმოსკვნით ეკითხება: „სად ხარ ხულიო?“ როცა ქეკლულის ნაპერწკალი გულს მოხვდება, მის შვი თვალების ელვარებაში თავის ერის ბედის ამოკითხვის სცდილობს. მამუზავრება მამა-ბაბუელ საჩხრესაქენ, თუ ნელ-ნელა აღის მთაწმინდაზე, სძინებს თუ ფხიზელია, მარტოა თუ ყროლობაში—სულ ერთს ჭფიქრობს, ერთს ხედავს. ერთს ამბობს.

ეს ერთი, ეს სატრფო სამშობლო უყვარს და უნდა სულ იმსთან იყოს, მის ელერსოს, ესაუბროს, მისთვის ჰღებოს ცრემლი, მისთვის გახაროს და გასწიროს თავი. ბედნიერია ამ სიყვარულით, პირადი მწუხარება და სატრფოარი აღარ აბსოვს, მაგრამ ამავე სიყვარულში ჩამბრებული მისთვის უდიდესი ტანჯვა, საწინელი უბედურება: უყვარს და თითქოს გახლებულია ამ სიყვარულით, მაგრამ ხედავს, რომ ნი-

თ-დ სვიმონ გიორგის ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რ. მ. ომში ტრადიკულათ მოკლულ იქნა შვილი მისი

## ა რ რ ი ლ ი.

პანაშვილი ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე, მაცხოვრის ეკლესიაში გვიამის მოხვენება და დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება.

ქვრივი ანა სიმონის ასული ბაინდუროვისა, აგნესა ივანეს ასული ნადირაძისა, ელენა ივანეს ასული გონიფისა, გალაკტიონ ნადირაძე, თ დი ვარლამ ჩიქოვანი და ალექსანდრე გონიფი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველის უსაყვარლესი მეუღლის, მეორენის უძვირფასესი მამის და მესამისა დაუფიყვარი სიმავრისა კოლეგ'კი სოვეტნიკის

ივანე სიმონის ძის ბაინდუროვისას.

პანაშვილები ყოველდღე საღამოს ექვსს ნახევარზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

2—1—54

თ-ლი გრიგოლ (გრიშა) ალექსანდრეს ძე ფაღვაძე, უღრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუფიყვარის მამის

თ-დ ალექსანდრე მათის ძის ფაღვაძისას,

რომლის დაკრძალვა და გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 12 თებერვალს; ნაწირვევს, ადგილობრივ წმიდა გიორგის ეკლესიაში სოფ. ბანძას.

1—1—55

მ შ უ თ ა ი ს ი.

თ. მთავრიშვილისა და აბს. წიგნის ძალახაძე დაგამდა და გამოცხადებასა სასაქიდათ

## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა,

ცალკე სისტემური კურსი მოზრდილობათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქართი. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყლით 35 კაბ. აუწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კიბი. გამ. საზოგად. მაღაზიაში.

უდიდესი სამედიკალიური წიგნის მაღაზია

## კ. ი. ოცხელია და აბს. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კამერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელია და აბს. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტიკა, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდარები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურადიული, სეკიმი და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის მარტები და წყიბული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარო მაღაზია დ. ი. ოცხელია, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარო ნივთები.

ქ ა ბ ა ლ ო ვ ა ბ ი უ ვ ა ს ო თ

## ელექტრო-თეატრი რაღიუმი.

დღეს მთელი ჩენი ქვეყანა დასტირას დიდებულ მამულიშვილს აკაკის. მის ცხელ-რის გამოხვევებას დაესწრო მთელი საქართველო.

ეს დიდებული სანახაობა ჩვენ გადავიდეთ, რომ შთამომავლობამ იცოდეს, რა პატივით მოეპყრო აკაკის მისი თანამედროვე ქართველი საზოგადოება. მოგზაქანდით და იხილეთ ეს დიდებული სურათი.

1) აკაკის სასახლე და ბინა, საგუშაო მთაში, აჭო, პარ-მიდამო

2) აკაკის გამოხვევება საჩხერეიდან.

3) როგორ ეკებება ქართველობა აკაკის ნემტს რკინის გზის სადგურებზე საჩხერეიდან—შორანანაძე.

სენანები დაიწყება 9 თებერვლიდან. თ. 51.

## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზოდიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელია წიგნის ძალახაძე ქუთაისში.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ზ ი დ ე ვ ა

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხუსულებანი ჯახუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაბ.

## ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.

ჭიანჭველის ზეთის მიმბეჭებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაიკადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.

ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიბეკინოს მამული, დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი. 12—6

## ალთა ოთხკლასიანი პროგნოზიანი მ. ბ. კვიციანი

## უ ფ ლ ე გ ე ბ ი თ.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწვევების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლებების გამო არ მომბეჭდება. თვისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბნო განყოფილება, რომელშიც მიიღებენ მოუშინებელი ბავშვები. თ. 7.

ს. ს. ი. გოციელის შ-ვის შუთაისში


ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

## აბრეშუმის ტიხის თესლის

ს. ჩინისტოვლიძის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზომობრივად უფროსი აბრეშუმის თესლზე.

ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.





# მ პ ი.

## ბეტრავადის დემუშავება საკანტონოსაგან.

### რუსეთ-პერსიის საზღვარი.

ბეტრავადის დემუშავება საკანტონოსაგან. რუსეთ-პერსიის საზღვარი. აფიკალიური უმად-ლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან: 6 თებერვალს ბობრისა და ნარევის მარჯვენა მხარეებზე ბრძოლა ხდებოდა ოსოვეციის რაიონში და აგრეთვე ლომ-ქისა-ოსტრადენკისა და პლონსკის გზებზე. ეს ბრძოლა უფრო შემთხვევით იყო. ვისლის მარცხენა მხარეზე მტრის სუსტი შემოტევები უკუგაგდეთ. აგრეთვე უკუგაგდეთ მტერი ჰედა ბურზე, რვის ადმოსავლეთით და სს. ლენინოვსკის ავტო გერმანიის რაზმების თავდასხმა შევანერეთ. კარპატებში ჩვენ მოვიგერიეთ რამოდენიმეჯერ დაინებით მოტანილი ერთი მტრისა, განსაკუთრებული სისასტიკით განიჩეოდა გერმანელების იერი-შები ტუბლოსა და ვიბკოვის რაიონში, სადაც მტერმა დაიკავა ერთი სიმაღლე, მაგრამ ჩვენ შედგარი იერიში მივიტანეთ ხიშტებით და სიმაღლე ისევ ჩვენ დავი-ჩა. კლაუსეს რაიონში ჩვენ ბრძოლით წინ მივიწვეთ. პრემიშლის გარშემო გავფანტეთ მტრის რაზმი, რომელმაც დიდი ზარალი ნახა.

### დასავლეთის საზღვარი.

პარიზი. 7 თებერვლი. ოფიციალური მოხსენება. ბელგიაში მტერი მთელი დღის განმავლობაში ესროდა ჩვენს სიმა-გრებს. ჩვენც ვუპასუხებდით. გერმანე-ლებმა გულში იერიში მოიტანეს ჩვენს თხროლებზე იპრის ადმოსავლეთით. გერ-მანელებს უნდოდათ ხელჩართულ ბრძო-ლაზე გადასულიყვნენ, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუგაგდეთ. გერმანელების ზა-რალი ძლიერ დიდია. უკანასკნელ ბრძო-ლის დროს შამპანიაში მტერმა დიდი ზა-რალი ნახა. ტყვეების სიტყვით, ერთი ბათალიონიდან ერთი ჯარისკაცი არ გა-დარჩენილა. ვოგეში მტერი თავდაცვის პოლიტიკას აწარმოებდა. ბელგიის მთელ ფრონტზე რეისმადის გრძელდება საარ-ტილერიო სროლა. პეტრის ჩრდილოე-რით დავიკავეთ მტრისგან გამაგრებული ტყე, მტერი უკუგაგდეთ და წამოვიყვა-ნეთ 900 ტყვე, ვახელეთ სამი ტყვიის მტყარცნელი. ბრძოლა ყველა ფრონტზე გრძელდება.

### საბრძოლის საზღვარი.

ნოვი. 7 თებერვლი. 4 თებერვლის საარტილერიო ბრძოლის დროს ბელგად-თან სერბების არტილერიის ყუმბარები, რომლებიც დამიზნული იყო ავსტრიელებ-ის მონიტორების წინააღმდეგ, ზემოწინს ხდებოდნენ. ქალაქი დიდათ დაზიანებუ-ლია. ქალაქის ზოგიერთ ნაწილში ცეცხ-ლი განდა. ჩვენი არტილერიის მოქმედე-ბა საუცხოვოა.

### დარღვეული ბრძოლა.

ლონდონი. 7 თებერვალს სადამირალა ოფიციალურად იტყუება: 6 თებერვალს დილის 8 საათზე, ინგლისის ფლოტი შეუერთდა საფრანგეთის ფლოტის ნა-წილს და ვიცეადმირალ კეკელკარდენის საერთო სარდლობით ზარბაზნები დაუშ-ინა დარღვევის სრუტის შესავალში მო-თავებულ ფორტებს. წინა ფორტები, რადგანაც წარმოადგენდნენ მხოლოდ მი-წის სიმაგრეებს, მალე მოვსაბეთ. ევრო-პის მხარეზე ორი ფორტი ჩაჩუმებულ იქ-ნა. დღის 2 ს. 45 წ. ფლოტმა მიიღო ბრძანება მიახლოვებოდა ფორტებს. შეი-ქმნა სროლა, რის დროსაც აზიის მხრის ორი ფორტი ჩაჩუმებულ იქნა. სალა-მოს სიბნელის გამო, სროლა შესწყდა. ბრძოლა გაგრძელდება ხვალ დილის 8 საათიდან, არც ერთი გემი არ დაზიანე-ბულია.

### ლივერპული. გემი „კემპონი“.

ლივერპული. გემი „კემპონი“, რომელიც აკეთებდა რვის ლივერპულსა და კარლის შუა, ჩასიბრა გერმანიის წყალ-ქვეში ნავთი. მოკლულია სამი კაცი.

### უკრაინა-გაზეთიგვიდან.

კონსტანტინოპოლიდან იტყობებიან: აქ შიშობენ რომ საბერძნეთთან დამოკიდებუ-ლება არ გამოყვანეს. საბერძნეთის სახ-ლურებთან ოსმალეთის მთავრობა ჯარს აგროვებს. ამის შესახებ საბერძნეთის მთა-ვრობა ოსმალეთის გარეშე საქმეთა საბი-ნისტროს აფრთხილებს, და რომ ასეთმა მისმა საქციელმა საქმე უფრო არ გაამ-წვავოს, ურჩევს თავისთვის იყო.

გერმანია მზათ არის ინგლისის ნაპი-რების დააღუეს შესახებ დეკლარაცია უკანე მიიღოს, მხოლოდ იმ პირობითი-კი, თუ შეერთებული შტატები მოახერ-ხებენ, რომ გერმანიაში სურსათით დატ-ვირთულ გემებს ინგლისი არაფერს და-უშვავებს. ამერიკის პრესა გერმანიის ასეთ წინადადებას, როგორც დამლომატიურ შანტაჟს, ისე უტყერის.

იმპერატორმა ვილჰელმმა ინსტრუ-ბურგში ამერიკის ელჩი მოსალაპარეკე-ლად მოიწვია.

### ინგლისისადმი ზიზღი.

გრაფი რევენტლოვი გაზეთ „დ. ტ. ცვიტუნგით“ მოუწოდებს გერმანიას არ დაიფიქროს ინგლისი, როგორც უმოფრე-სი მტერი, რომელთანაც არავითარ მო-რიგებაზე არ შეიძლება ლაპარაკი. რე-ვენტლოვს აზრით, რა უბედურება იქ-რებოდა, რომ გერმანიაში ომი შეეთო-მით ეცნოთ და შერიგებაზე ეფიქრნათ.

### ა ვ რ ი კ ა შ ი.

როგორც ბენგალიან იტყობებიან, იტალიის კოლონამ 29 იანვარს გილუ-რიისთან შეამოხებთა 600 კაციანგან შე-მდგარი რაზმი გაფანტა. იტალიელებს მოუტყეს 20 და დაუტყეს 68. მათ რი-ცებში 4 აფიცერია.

## ახალი ამბავი.

მთის ანწივის გაე-ფშველას ავად-მყოფობა. როგორც გაიგეთ ამ ყამთ-მოსანი გაე-ფშველი ავადყოფილა. იგი საყვარელი მღვანის აკაკის დაკრძალვას თვლისში ვეღარ დაესწრო.

25 იანვარს, დ. ყვირილაში ადგო-ლობრივ ორ-კლასიან საქალეობა სამრე-ვლო სასწავლებელში, ომში დაქრდილ ქართველ შემართა სასარგებლოთ გაი-მართა სალიტერატურო საღამო. სკოლის ოთახის სივრცოვის გამო ბევრი უკანე ვე დაბრუნდა. ხარჯებს გარდა წინდა დანიშნულადარა 26 მან. რომელიც დანიშნულსამებრ გადაეცა.

შაბათს, 7 თებერვალს, ოქქის სასამართლომ ცნობილ ყაჩაღს ვლადი-მერ ყრუაშვილს, რომელსაც ბრალდე-ბოდა იტალიელი კაპიტალისტის გატა-ცება და თავის გამოსასყიდათ 150,000 მანეთის მოახზოვა, თი წლის კატორღა მიუსაჯა.

დღეს, ქალაქის გამგეობაში იჯა-რით გაიციმა სალორის ავარაკში ქალა-ქის ადგილი, სადაც მოთავსებულია ში-ნეულობის საწმენდი ქარხანა.

3 თებერვალს, დამით, ვილაც ბო-როტკანახახელეში მ. შავერზოგის სამ-ზარეულოში შესულან ივანოვის ქუჩაზე, წაუღიათ მშ მანეთად ლირებული სხვადა-სხვა ნივთები.

### თ ე ა ტ რ ი.

დღეს, 10 თებერვალს, ქალაქის თე-ატრში იმართება შტათ საყურადღებო საღამო-მეჯლისი 3. ფრანგიშვილისა — ვრცელი პროგრამით. საღამოში მონაწი-ლეობას ლტულუმს ცნობილი მწერლე-ბი და მსახიობები.

საღამო შესდგება ხუთი განყოფილებით. პირველი განყოფილება დაეთმოდა ლექ-ციას. აკაკი ფლავა წაიკითხავს „სასცე-რა ხელმოწევა“.

მეორე, სალიტერატურო განყოფილე-ბაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მწერლები: ი. ევალაძე, ა. ფლავა, გ. ტაბიძე, ვ. რუხაძე, გ. ლალიძე, შ. და-ლიანი, ლ. მაკავარიანი და სს.

მესამე საკონცერტო განყოფილება: მ. გელოვანი იმღერებს ქართულ-რუსულ რომანსებს, მ. ფრანგიშვილი იმღე-რებს „ურბულს“, ბ. ხაჩატურივი დაუკრავს ვიოლონჩელზე, სამი ხმა (ტრიო) იმღერებს „ტურფა მოიღი“.

მეოთხე განყოფილება. ს. ქუთათელა-ძის ლოტბარობით ორკესტრი „კოლხი-და“ შესრულებს ქართულ ჰანგებს და ქართველ მომღერალთა ხარო შესარუ-ლებს აღმდენიმე ნაციონალურ სიმღე-რებს.

დასასრულ წარმოდგენილი იქნება ი. გრიშაშვილის „ტიმოთეს ლეღვი“ ვოდე-ვილი ერთ მოქმედებათ. სემიონის როლს ითამაშებს მსახიობი დ. ჩარკიანი და ტიმოთესს ბ. ფრანგიშვილი.

საღამო მსახიობ ფრანგიშვილის სასარ-გებლოთ იმართება და იმეღია ქუთათის საზოგადოება ამ ფრთათ საყურადღებო „საღამო მეჯლისს“ არ დააკლდება.

გაზეთების სეზონისათვის ქართ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ მოწვეული

რეჟისორი კონ. ანდრონიკაშვილი უკა ჩამოვიდა და დასი მეცადინეობას შე-უდგა.

ამხანაგობას განზრახა ამის წინა მოადგინოს სობოლჩიკი „მსახიობთა“ ლი ბიესა: „იუდა ისკარიოტელი“.

## დავით აღმაშენებლის ხსენება.

მე მსურს ამ 26 იანვარს, ქართველი ერის ყურადღება მივაქციო იმ ხანას, როდესაც მთელს მცირე აზიაში საბო-ლოთ გადაწყდა ქართველთა სახელ-მწიფობრივი ბატონობის საკითხი. ეს მოხდა ქართველთა მთელი თაობის მუ-შაობისა და დაუღუომელ ლტოლვი-ლების შემდეგ, ისეთ შორს მკვრეტა და ნიქიერ სახელმწიფო მოღვაწეების მომ-ხადებითი მუშაობით, როგორც იყო იოანე მარუშაძე და მისი თანამოაზრე-ნი, — როდესაც ქართველობას დიდხნის მიზნის შესაფერ მისწრაფებათა და ღვაწ-ლის შემდეგ ხელთა ხელა ისეთი მეღგა-რი სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნა საქართველოს ბუნებრივ საზღვრებს შუა, რომელიც უზრუნველ ყოფდა მაშინდელ ქართველობისათვის პოლიტიკურს წონ-ათა ზედმეტობას (Prépondérance) თით-ქმის მთელს მცირე აზიაში. ამ მიზნისა-კენ შეგნებულათ ისწრაფვიდა და მის მისაღწევათ ყოველ დაბრკოლებას მართ-ლაც უზუნაგის შემოქმედებითი ნიქითა ჰყოფავდა ჩვენი გენოსი მეფე — დავით აღმაშენებელი.

დიდებულ მეფის ტახტზე ასვლისას, საერთო მდგომარეობა ფრით დამაფიქ-რებელი და საშიშოცკი იყო: ჯერ ისევ ბაგრატ III ს დროს გაერთიანების ნია-დაგზე დაყენებულ საქართველოს ისეთი მტერი გამოუჩნდა საზნრეთით, რომელიც იმ თავიდანვე მიზნათ იყო დასახული ჩვენი ეროვნულ მთელ რივ ტრაველიისათ-ვის: სელჯუკები — თურქები თავის მრი-სხანების მახვილს არ აკლებდნენ ჩვენს ქვეყანას; დავითის მამას გიორგი II-ს დროს ხომ მთელი ქვეყანა თურქებმა ხანგრძლივთ დაიპყრეს. 1073—1074 წლამდე. თურქები მართა აღმოსავლით კი არა, დასავლითაც ეცოდნენ ქვეყანას: რაზმებათ დაყოფილი აოხრებდნენ, იტა-ციებდნენ და შედგენ ანადგურებდნენ ჩვენს სეზობებს და ნაყოფიერ კუთხეებს. მათი ველური მოქმედება იმდენათ თავზარდამ-ცემი იყო, რომ მთელი ბარის მცხოვ-რებნი თავს ანებებდნენ თავის მიწაყალს და მუჭბში იხიზნებოდნენ. ერთადერთი გამოსავალი ამ უშეო მდგომარეობიდან დამოუკიდებლობის უარის ყოფა და „სა-რაჯა“ზე თანხმობის გამოცხადება იყო.

სამეფო ტახტის აგვით დამტკიცებთა და ქვეყნის შეწუნებით სარგებლობდნენ დიდი ფეოდალები: ამითი სილითერე იმ ზომამდე მივიდა, რომ ზოგიერთი მათ-განი თავის თავს უფრო მაღლა აყენე-ბდა, ვიდრე თვით საქართველოს მეფე; მათ მეტი გავლენა ქონდათ საერთაშო-რისო დამლომატიასში, ვიდრე ამ უკა ნასტყელს. მაგალითისათვის დავისახლოთ თუნდ დიდებულნი ლიბარტ ორბელიანი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდვა მეფე ბაგრატ IV-ს, მაგრამ შემდეგ სასოწარ-კვეთლობამდე მიყვანა თავისი დალა-ტით, ბიზანტიის სასახლეში დილომა-ტიურ ხრიკებით და ბრძოლაში დამარ-ცხებით. ამ გარემოებამ გვირგვინოსანი მეფე იძულებული ჰყო ბატონობა დროე-ბით თავის მეტოქეებზემდროისთვის დაეთმო და კონსტანტინეპოლში წარსუ-ლიყო ლიბარტთან მორიგების სახზოვ-ნელათ. ასეთივე ძლიერი და ტახტის მოწინააღმდეგე იყო კახთა ბატონიც, და, რასაკვირველია, თვლისში მავრათ ფენ-მოკიდებულნი ამირაკი. — ასეთი შემეკლ-რება ხვდა დავის 1089 წ. რომელსაც ის ავიდა სამეფო ტახტზე. პირველი მ—4 წ. განმავლობაში დავით მეფემ ქართლის დაშენებას, მოსახლეობის გან-ვითარებას, აობრებულ ადგილთა განა-ყოფიერებას მოანდობა, რომიც მას ხე-ლი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „სა-რაჯა“ს გაცემით თუშც დამაქციებელი, მაგრამ მაინც ერთ გვირი იურიდიულთა გარკვეული დამოუკიდებულობა და ურთი-ერთობა არსებობდა სულთანსა და მის საზრდახებელთან ერთის მხრით და მამ-მადლიანთა ძალზე შესუსტებამ მეორის მხრით: მათ აღმოუჩნდათ დასავლეთის ახალი მტერი — ფრანგნი, რომელთაც ანტიოქია და იერუსალიმი წარუღეს მათ 1097 წ.

შინაურ საქმეთა თავის დროზე მოწ-ყობით მომხდებულმა და საერთაშორო-სო მდგომარეობით წაქეზებულმა დავითმა „ხარაჯა“ც მოიკლა და ამით თავის სა-მეფო ტახტს დასაფიქრებელი დასავლეთის ახალი მტერი — ფრანგნი, რომელთაც ანტიოქია და იერუსალიმი წარუღეს მათ 1097 წ.

შინაურ საქმეთა თავის დროზე მოწ-ყობით მომხდებულმა და საერთაშორო-სო მდგომარეობით წაქეზებულმა დავითმა „ხარაჯა“ც მოიკლა და ამით თავის სა-მეფო ტახტს დასაფიქრებელი დასავლეთის ახალი მტერი — ფრანგნი, რომელთაც ანტიოქია და იერუსალიმი წარუღეს მათ 1097 წ.

ნებამ ხელი შეუწყო. მშვენიერი თფი-ლი მზიანი დღე იყო, წირვის დროს ეკ-ლესია ხალხით გაავსო.

დილის 10 საათიდან ქალაქის ბაღში პანაშვიდზე დასასწრებლოა დიდძალი ხალ-ხი შეგროვდა. ქალაქის განაპირა კუთხე-ებიდან და ახლო სოფლებიდანაც კი ბევ-რი იყო ჩამოსული.

შესრულდა 12 საათი და საკათედრო ტაძარში წირვაც გამოვიდა. შეიქნა ზე-რის რკვეა, რომელიც 15 წუთს გაგრ-ძელდა. საკათედრო ტაძრის მთელი კრე-ბული ბაღში გაშალბულ ადგილას შეი-კრბა. წინ იდგნ პრესისა და სხვა საზო-გადო თუ კერძო დაწესებულებთა წარმო-მადგენენნი. წესრიგს რამდენიმე ახალ-გაზდა ცვადა.

ვიდრე პანაშვიდს გადაიხდიდნენ, რაკი-თან ჩამოსულმა მღვდელმა ამბროსი ფო-ფხაძემ სიტყვა წარმოსთქვა. მან მოკლეთ და მკათოთ დაახსიათა აკაკის მოღვა-წეობა.

პანაშვიდს შემდეგ, პირველათ ლექსი წაიკითხა დეკ. მ. კელეჯერიძემ. შემდეგ ხატყვა წარმოსთქვა ქუთ. ქართული გიმ-ნაზის მასწავლებელმა ბ. ი. ნიკოლაი-შვილმა. მან დაახსიათა აკაკი, როგორც მშრომელი ხალხის მომღერალი და თავის სიტყვა ასე დაასრულა: — აკაკის სახელი არ დაავიწყდება, ვიდრე მისი სამშობლო — პატარა საქართველო — დედამიწის გუ-ლიდან არ აღმოიფხვრება.

ბ. ნიკოლაიშვილის შემდეგ მშვენიერი ლექსი წაიკითხა თფილისელმა მესახანდ-რემ, ვანო ამირიძემ.

ამის შემდეგ ექსპრონტათ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი რედაქციის ხელ-მძღვანელმა, ბ. ია-ევალაძემ.

დასასრულ ლამაზი და შინაარსიანი ლექსი წაიკითხა ფოთის ვეთა გიმნაზიის ართული ენის მასწავლებელმა გიორგი მაშვიდემ.

საზოგადოება სამის ნახევარ საათზე დაიშალა.

ამეე დღეს, წმ. ნინოს ქალთა სასწავ-ლებელში, მღვდ. მიხ. ნაცვლიშვილმა გადაიხადა წირვა და პანაშვიდი, მგოსნის სულიის მოსახსენებლათ. წირვასა და პა-ნაშვიდს დაესწრნ მოწაფეები და მასწავ-ლებენნი.

წირვა და პანაშვიდი გადაიხადეს აგრე-რე ქუ. კლასიკურ გიმნაზიის ეკლესია-ში. დეკ. ცკიტოშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვასა და პანაშვიტს და-ესწრნ გიმნაზიის ღირეტორი კოტი-ლევსკი, მასწავლებლები და მოწაფენი.

მეტი რალა შექნა, რომ მათი ამაყი სა-ბის წინ თავი არ დამეტუნა, და სიბრა-ეზიანე კურცხალი ისე ამომეწმინდა თვა-ლთაგან, რომ მათთვის არ დამენახებია.

საღამოთი რომ სახლში დაებრუნდებოდი ხოლმე ჩემის ათიოდე ცხვრებით, და თუ მამა შინ არ დამხვდებოდა, დედას თვალ-ცრემლიანი შევიჩივლებდი: დედიკო, პეტ-რე და ილიკო სულ მუდამ დამციინან, რომ ისინი სკოლაში დაიარებინან, სწე-ლობენ და მე კი ისევ ცხვრებს დავსდევ, თუ მეც სკოლაში არ შემიყვანთ, არამც და არამც ცხვრებს არ გავყვები შე-ტქი.

მოიცა შეილო — მოფერებით მე-უბნებოდა დედა, ჯერ კიდევ ბავში ხარ, მამაშენს ვანზრახვა აქვს, სოფელში კი არა ფოთში წაიყვანოს და იქ შეგიყვანოს სასწავ-ლებელში.

განგაღთ ამ წყაროს ავტორის სტილით.

ლებელში. მერმე კი შენ თვითონ დასცი-ნე იმათ, ვინც შენ დღეს დაგციინაო. და ასე უთხარი: იე თქვენ სოფლის შა-გირდები ხართ და მე კი ქალაქისათო — მაიმედება დედა და თან მეფერებოდა, რომ ცხვრებზე გული არ ამცრუებოდა. რადგან მთელი დღე სახლში იმეათად ვიწებოდი, მხოლოდ დამით სანთლის სინათლეზე მასწავლიდა დედა ანაბანას.

ანაბანი რომ ვისწავლე, მას შემდეგ წიგნი გავრკეცვით შემეყვანა. და სა-დაც წავიდოდი სულ თან დამქონდა ჩემი „დედა ენა“. ამასობაში ერთ დროში ჩემი ამხანაგების ალოგი ახლა ციციანო დი-კავა ჩემთან.

ციციანო 13—14 წლის ქალი იყო. მიუხედავად მისი ამ ხნოვანობისა, დინჯი ხასიათისა და მეტად გულკეთილი იყო. სოფლის სკოლა ვეთაფებია და, სკოლის ასაკისა რომ შეიქნა, მისი უმცროსი ძმა სკოლაში შევეყვანათ და მისი მაგივრათ ცხვრებს თვითონ დასდევდა და ნება-უნებურად ჩემი ამხანაგი ვახდა.

ციციანოსაც მუდამ თან დაქონდა ერთი პატარა წიგნაკი. ჩამოკლებოდა ჩრდილში ერთხელ არჩეულ ალაგზე, წყაროს პი-რად და სულ მუდამ იმას კითხულობდა. მეც მას ვბაძავდი და ჩემ „დედა-ენას“ ჩაეჩინებოდა. კითხვით კი ვკითხულობ-დი, მაგრამ შინაარსისა კი არაფერი გა-მეგებოდა. ვიცოდი მხოლოდ ის სიტყვე-ბი, რომლის ზემოთაც სურათები იყო გამოხატული: „ია“, „თითი“, „თოხი“, „ურემი“ და სს. როდესაც მივაღწიე „თხა და ვენახს“ მას შემდეგ სულ სასოწარკვე-თილებს მივეცი თვით და თან ბრაზი მომდოდა: ე კითხვა რალა ჯანაბლ-მინდა თუ ვერაფერს გავიგებ-მეთქი. მეც მართალია მერიდებოდა ციციანოს, მაგრამ მაინც მოვიკრიბე თუ რაც გაბედულობა მქონდა და მორცხვად მივმართე წყაროს-თან ჩამომჯდარს ციციანოს: ჩემო ციცი, კითხვა კარგად ვიცი, მხოლოდ, წინა-კითხისა არაფერი გამეგება. ვაღამითარ-გმზე შეგრუდო, თუ რა სწერია-მეთქი. იმანაც თავისი პატარა წიგნაკი განზე გადასდვა: გამომართვა წიგნი, მომისვა გვერდით, ჯერ წაიკითხა და შემდეგ სი-ტყვა სიტყვით ვაღამითარგმნა. მეც გულ-დასმით უკრს ვუვადებდი, და მქონდა ამისი მასალა თუ არა, სიხარულით ვიციანოდი ისე მიხაროდა ვიციანოდა, იმ უმანკო სი-ციკლია, როგორც მხოლოდ და მხოლოდ უმანკო ბავშვები იციანან ხოლმე. მას შემდეგ ყოველ დღე მუყაითად მასწავ-ლიდა ციციანო და კმაყოფილიც იყო მისი შრომის ნაყოფისა.

ერთხელ ციციანო თავისი საყვარულ ღლაგზე იჯდა წყაროსთან და შორიდან ყური მოვკარი სვედიან სიმღერას. მეც ფხვ აკრეფთ ნელ-ნელა მიუახლოვდი. შორი ახლო შეფერდი და სულ განაბუ-ლი ყურს ვუვადებდი მის სიმღერას. ხში-რად გამეგონა ის სიტყვები, რომელსაც ციციანო ამბობდა. მიეღოს სოფელში ამის მღეროდნენ ღიდი თუ პატარა, ყველამ ზებირად იცოდა. ციციანო კი სულ სხვა პანგზე მღეროდა. სვედრან კილოზე. ასე გვეგონებოდათ ბუღბული თავის სატრ-ფოს დასტირისა. მეც სულმა ვერ მო-მითმინა და წამსვე ციციანოს წინ ავეტუ-ზე. ციციანო უტებ შეკრათ, შემომხედა და ხმა გაკმინდა. თვლებში ცრემლი შევნიშნე და ლოყაზე ღაბა-ღაბით ჩა-მოსლიდა. დიდხნს ვუყურე და შემდეგ ვუთხარი:

თუ კი მღეროდი, ეს ცრემლები რალა იყო მეთქი. ციციანომ თავშალით ცრემლები მოიწმინდა და მითხრა:

— შენ ჯერ ბავში ხარ, ზოგჯერ სი-მღერაში უფრო მეტი ცრემლია, ვიდრე მოთქმით ტირილია და, რომ შეამჩნიო, ვერაფერი გავიგებ მისი ფილოსოფიისა, განავრძობ:

— არაფერი ჩემო ვალიკო, საბრა-ლო დედა ჩემი მომაგონდა, დედინაცვა-ლი ავად მეყრობა, სულ მუდამ მცემს, მაგინებს მიცვალბულ დედას და არც ნებას მაძლევს წიგნი ვიკითხო. ხელი მომხვია და მითხრა: ჩემო ვალიკო, თავი დაიარეგლად ღმერთს ის შესთხოვე, რომ დედის ნაცვლად დედინაცვალის ხელში არ ჩავადგოსო. მეც, როგორც მისი მორ-ჩილი, სამჯერ პირჯვარი გადავიხაზე და ღმერთს შევსთხოვე: ღმერთო! მშობელი დედა მიკოცხლე და დედინაცვალი მა-შორე-მეთქი.

(შემდეგი იქნება).

შენი აღზრდილი გლეხი.

